MOVING FORWARD TOGETHER

Safari

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი

უფლებადამცველების საჭიროებების კვლევა საქართველოში



დოკუმენტი მომზადდა ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ამ დოკუმენტის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ორგანიზაცია საფარი და არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს ევროკავშირის პოზიციის ამსახველად.

თბილისი

2021

უფლებადამცველების საჭიროებების კვლევა საქართველოში

შინაარსი

შესავალი/პრობლემის ჩამოყალიბება 1

კვლევის მიზანი და ამოცანები 4

კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები, ინსტრუმენტები და შერჩევა 5

შეგროვებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი 7

უსაფრთხოების მართვის კულტურა 10

სამუშაო გარემო 12

საფრთხეები და რისკები 14

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენა 17

უფლებადამცველების საჭიროებების დადგენა 19

რეკომენდაციები 27

ბიბლიოგრაფია 30

შესავალი

პრობლემის ჩამოყალიბება

ადამიანის უფლებები საერთაშორისო სამართლის მონაპოვარია და ეს უკანასკნელი მის დაცვასა და შენარჩუნებას ცდილობს, თუმცა, წლებია, უამრავ ადამიანს იმ საერთაშორისო კანონმდებლობის შესრულებისთვის უწევს ბრძოლა, რომელიც სხვადასხვა ქვეყანაში ხშირად ირღვევა და ამის გამო მოქალაქეებს მძიმე მდგომარეობა ექმნებათ. ადამიანის უფლებების დაცვა და კონტროლი სხვადასხვა ქვეყნებსა და კულტურებში საფრთხის შემცველ საქმიანობას წარმოადგენს. ადამიანის უფლებათა დამცველები ხშირად ერთადერთნი არიან, რომლებიც რიგით ადამიანებსა და სახელმწიფო ძალაუფლებას შორის დგანან[1].

უფლებადამცველები არიან ადამიანები, რომლებიც ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად, სხვადასხვა სახის მშვიდობიანი აქტივობებით იბრძვიან უფლებადარღვევების წინააღმდეგ. გაეროს 1998 წლის „უფლებადამცველების შესახებ დეკლარაცია“ აღნიშნავს (მუხლი 1), რომ ყველას აქვს უფლება, ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად იბრძოლოს ადამიანის უფლებების და ფუნდამენტური თავისუფლებების დასაცავად, როგორც ადგილობრივ, ისე – საერთაშორისო დონეზე[2]. გაეროს მიხედვით, ადამიანის უფლებადამცველად მიიჩნევა ადამიანი, რომელიც დამოუკიდებლად ან სხვებთან ერთად, მშვიდობიანი გზებით იცავს ადამიანის სამოქალაქო, პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ უფლებებს და ებრძვის ინდივიდისა და ხალხების ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევებს; ადამიანის უფლებადამცველი აღიარებს ყველა ადამიანის უფლებების უნივერსალობას, დისკრიმინაციის გარეშე[3].

უფლებადამცველები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიზაციის პროცესში და ხშირად ძალადობას, პატიმრობას, წამებას, დეფამაციას, სამუშაო სივრციდან გარიყვას, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, ზოგიერთ ქვეყანაში კი სიკვდილსა და იძულებით გაუჩინარებას გამოცდიან ხოლმე. ბოლო წლების განმავლობაში, ისინი უამრავი რისკისა და საფრთხის წინაშე დგანან. ხშირ შემთხვევაში, უფლებადამცველების მიმართ არსებული საფრთხეები შემთხვევითი არ არის; უმეტეს შემთხვევაში, ძალადობრივი თავდასხმები განზრახ და კარგად დაგეგმილი პასუხია მათ საქმიანობაზე.

---

[1] Protection Manual for Human Rights Defenders, Published by Front Line 2005, The International Foundation for the Protection of Human Rights Defenders 16 Idrone Lane, Off Bath Place, Blackrock, County Dublin, Ireland, p. 3.

[2] 53/144. Declaration on the Right and Responsibility of Individuals, Groups and Organs of Society to Promote and Protect Universally Recognized Human Rights and Fundamental Freedoms, 1998, see at: https://documents-dds-ny.un-.org/doc/UNDOC/GEN/N99/770/89/PDF/N9977089.pdf?OpenElement

[3] უფლებადამცველის განმარტებისთვის იხილეთ გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ვებგვერდი, იხ. https://www.ohchr.org/EN/Issues/SRHRDefenders/Pages/Defender.aspx

უფლებადამცველები უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებენ დემოკრატიზაციის პროცესში და ხშირად ძალადობას, პატიმრობას, წამებას, დეფამაციას, სამუშაო სივრციდან გარიყვას, გადაადგილების თავისუფლების შეზღუდვას, ზოგიერთ ქვეყანაში კი სიკვდილსა და იძულებით გაუჩინარებას გამოცდიან ხოლმე. ბოლო წლების განმავლობაში, ისინი უამრავი რისკისა და საფრთხის წინაშე დგანან. ხშირ შემთხვევაში, უფლებადამცველების მიმართ არსებული საფრთხეები შემთხვევითი არ არის; უმეტეს შემთხვევაში, ძალადობრივი თავდასხმები განზრახ და კარგად დაგეგმილი პასუხია მათ საქმიანობაზე.

ეს გამოწვევები ადამიანის უფლებათა დამცველების ყოველდღიური მუშაობისას უსაფრთხოების სრულყოფილი და დინამიკური სტრატეგიების დანერგვას საჭიროებს. უფლებადამცველს რომ უბრალო რჩევა მისცეს ვინმემ, „რომ თავს გაუფრთხილდეს“, საკმარისი აღარ არის. საჭიროა მათი უსაფრთხოების კარგი მენეჯმენტი და კონკრეტული სტრატეგია.

საერთაშორისო დონეზე, უფლებადამცველების დაცვის მიზნით შექმნილი გარანტიების მიუხედავად, მათი დევნისა და შევიწროების ტენდენცია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ისევ აქტუალურია[4]. როგორც ადამიანის უფლებათა სახლის ანგარიშში, „უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში – დაბრკოლებები და გამოწვევები“ ვხვდებით, ამ პრობლემამ საქართველოშიც იჩინა თავი, განსაკუთრებით – ბოლო წლებში. სწორედ ამიტომ, 2018 წელს საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო ანგარიშს ცალკე თავი დაემატა უფლებადამცველების შესახებ. როგორც ამ ანგარიშშია აღნიშნული, უფლებადაცვით სფეროში მომუშავე „ორგანიზაციები და მათი ხელმძღვანელი პირები ხშირად ხდებიან თავდასხმის ობიექტები, მათ შორის, ხელისუფლების მხრიდან. ... საქართველოში არასამთავრობო ორგანიზაციებში მომუშავე, თუ დამოუკიდებლად მოქმედი აქტივისტების წინაშე არაერთი ისეთი გამოწვევა დადგა, როგორიცაა: დისკრედიტაცია, ფიზიკური თუ სიტყვიერი თავდასხმა, დაშინება და სხვა[5].

კვლევის „უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში – დაბრკოლებები და გამოწვევები“ ძირითადი მიგნებები საინტერესოდ აღწერს ქართველი უფლებადამცველების მდგომარეობასა და მათ წინაშე მდგარ საფრთხეებს. მაგალითად, ხელისუფლების მაღალჩინოსნების მხრიდან არ ხდება უფლებადამცველების და აქტივისტების საჯარო მხარდაჭერა, რაც გააძლიერებდა მათ და ხელს შეუწყობდა ქვეყანაში ადამიანის უფლებების უკეთ დაცვას. უფრო მეტიც, რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლების მაღალჩინოსნები, ნაცვლად ჯანსაღი დისკუსიისა, ამა თუ იმ საკითხზე გამოთქმული კრიტიკული

4 იხ. უფლებადამცველების შესახებ გაეროს სპეციალური მომხსენებლის 2018 წლის ანგარიში: https://bit.ly/3pZzpEl;

5 უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში – დაბრკოლებები და გამოწვევები, თემატური ანგარიში, 2020, გვ. 6.

ორგანიზაციებს და მათ წარმომადგენლებს[6]. კვლევის რეპონდენტები თვლიან, რომ უფლებადამცველების საჯარო მხარდაჭერა არც სხვა სექტორის/სფეროს წარმომადგენლების მხრიდან ხდება და ზოგადად, უფლებადამცველებსა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის თანამშრომლობა იშვიათია[7]. გარდა ამისა, კვლევამ გამოამჟღავნა, რომ რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ უფლებადაცვითი საქმიანობის შესახებ საზოგადოება სათანადოდ ინფორმირებული არ არის. ასევე, პრობლემურ საკითხად დასახელდა ისიც, რომ სახელმწიფო დონეზე არ არსებობს უფლებადამცველების უფლებების დაცვის ხელშემწყობი პოლიტიკის დოკუმენტი, ან საკანონმდებლო რეგულაცია[8]. ასევე, რესპონდენტების უმრავლესობამ აღნიშნა, რომ უფლებადამცველები და აქტივისტები სოციალურ ქსელებში ხშირად ხდებიან ორგანიზებული, კოორდინირებული თავდასხმისა და მიზანმიმართული დისკრედიტაციის მსხვერპლნი, განსაკუთრებით – ულტრანაციონალისტური ჯგუფების მხრიდან, ხოლო ლგბტქ+ უფლებების დამცველები მუდმივად განიცდიან ზეწოლას, მუქარას და ჩაგვრას. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს მათი კონსტიტუციური უფლებების დაცვას. და ბოლოს, რესპონდენტების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ ქალი უფლებადამცველები ორმაგი სტიგმის მსხვერპლნი არიან და ხშირად მათი საჯარო კრიტიკა გენდერული ჩაგვრის ნიშანს ატარებს[9]. სწორედ ამ მიგნებების საფუძველზე, გამოიკვეთა საჭიროება, ჩატარებულიყო კვლევა, რომელიც დაადგენდა, თუ რა საფრთხეების, რისკებისა და საჭიროებების წინაშე დგანან ქართველი უფლებადამცველები.

[6] იქვე, გვ. 11;
[7] იქვე, გვ. 11;
[8] იქვე, გვ. 11;
[9] იქვე, გვ. 12;

კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია ქართველი უფლებადამცველების მხარდაჭერა და მათი საჭიროებების შესახებ ინფორმაციის შეგროვება.

ხოლო, ამოცანებს წარმოადგენს:

- საქართველოს მაგალითზე უფლებადამცველების „უსაფრთხოების მართვის“ კულტურის შესწავლა;
- ქართველი უფლებადამცველების სამუშაო გარემოს შესწავლა;
- იმ საფრთხეებისა და რისკების შესწავლა, რომელთა წინაშეც ქართველი უფლებადამცველები დგანან კოვიდ 19-ის პერიოდში;
- ქართველ უფლებადაცვლებში ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენა;
- ქართველი უფლებადამცველების საჭიროებებისა და პრობლემების დადგენა.

კვლევის მეთოდოლოგია, მეთოდები, ინსტრუმენტები და შერჩევა

კვლევის ფარგლებში უფლებადამცველების საფრთხეების, რისკებისა და საჭიროებების შესახებ პირველადი სოციოლოგიური ინფორმაცია სოციალური კვლევის, როგორც თვისებრივი, ასევე, რაოდენობრივი მეთოდების გამოყენებით შეგროვდა. თვისებრივი მეთოდებიდან შეირჩა ფოკუს-ჯგუფის მეთოდი. როგორც მოცემულია რიჩარდ კრუგერის წიგნში „ფოკუს-ჯგუფები, პრაქტიკული სახელმძღვანელო გამოყენებითი კვლევებისათვის", ორგანიზაციებისთვის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას საჭიროებების დადგენა და შეფასება წარმოადგენს, რომელიც ზედაპირულად თითქოს მარტივი ჩანს, თუმცა საკმაოდ რთულია. კრუგერი აღნიშნავს, რომ ფოკუს ჯგუფები საჭიროებების დადგენას ხელს უწყობს, ძირითადად იმიტომ, რომ მონაწილეებს შორის ინტერაქტიული გარემო იქმნება, რაც მათ საშუალებას აძლევს, მოუსმინონ სხვების გამოცდილებასა და მოსაზრებებს და მიამატონ საკუთარი აღქმები და რეფლექსიები, რომელიმე ფოკუსირებულ სოციალურ ფენომენზე. ეს ურთიერთქმედება მონაწილეებს საკუთარი პიროვნული გამოცდილების სხვის გამოცდილებასთან შედარების საშუალებას აძლევს. სხვადასხვა გამოცდილებების გაზიარების მომენტი, განსაკუთრებით – აშკარა საჭიროებების დასადგენად ჩატარებული ფოკუს ჯგუფებისას არის მაშინ, როდესაც რეგულარულად ხდება მონაწილეთა შორის საინტერესო ნიმუშების განხილვა და გაზიარება. შეიძლება, ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებს მიაწოდო რაღაც რისკები, საფრთხეები და საჭიროებები კონკრეტულ სოციალურ მოვლენასთან დაკავშირებით და მყისვე გაიმართება დისკუსია იმის შესახებ, თუ რა იქნებოდა საჭირო იმისათვის, რომ ადამიანებმა უკეთ აღწერონ აღნიშნული რისკები, საფრთხეები და საჭიროებები. ვინაიდან კვლევის მთავარი ამოცანა ქართველი უფლებადამცველების საჭიროებების დადგენაა, სწორედ ამიტომ, ინფორმაციის შეგროვების ერთ-ერთ მეთოდად სწორედ ფოკუს-ჯგუფის მეთოდი შეირჩა. სულ გაიმართა 2 ფოკუს-ჯგუფი, რომელსაც დაესწრო 18 ქართველი უფლებადამცველი. სადისკუსიო გეგმად გამოყენებულია ნახევრად-სტრუქტურირებული კითხვარი[10]. მართალია, ჯგუფები ჰომოგენური არ იყო და მონაწილეებიც იცნობდნენ ერთმანეთს, რაც წარმოქმნიდა იმის საფრთხეს, რომ ფოკუს-ჯგუფს, როგორც მეთოდს, თავისი საუკეთესო თვისებები ვერ გამოემჟღავნებინა, მაგრამ ასე არ მოხდა, რესპონდენტებმა საინტერესოდ და ღიად ისაუბრეს ქართველი უფლებადამცველების წინაშე არსებული პრობლემების, საფრთხეების, რისკებისა და საჭიროებების შესახებ. დამატებით, ფოკუს ჯგუფი კვლევის დროს გამოყენებულია, როგორც რაოდენობრივი კითხვარის/ონლაინ ანკეტის ვორდინგისთვის საჭირო ინსტრუმენტი. განხორციელდა იმ სოციალური მოვლენებისა და ინდიკატორების ოპერაციონალიზაცია, რომელიც ფოკუს-ჯგუფზე მიმოიხილეს ადამიანის უფლებადამცველებმა.

[10] იხ. დანართი №1 – სადისკუსიო გეგმა;

მეორე მეთოდი, რომლის გამოყენებითაც შეგროვდა ინფორმაცია უფლებადამცველების საჭიროებებზე, არის რაოდენობრივი გამოკითხვა, კერძოდ ონლაინ ანკეტირება. შემუშავდა რაოდენობრივი კითხვარი[11]. იგი მოიცავდა თემატურ ბლოკებს, რომელიც შეიქმნა ფოკუს–ჯგუფებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე და კვლევის ამოცანებიდან გამომდინარე. ესენია: უსაფრთხოების კულტურა, სამუშაო გარემო, საფრთხეები/რისკები და საჭიროებები და ა. შ. თითოეული თემატური ბლოკი მოიცავდა ღია, დახურულ და ნახევრად დახურულ შეკითხვებს. ანკეტა შეიქმნა Google Analitic–ის გამოყენებით და გაეგზავნა ქართველ ადამიანის უფლებადამცველებს. გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი შერჩევა[12], კვლევის ავტორებმა ონლაინ ანკეტა დაუგზავნეს ყველა ქართველ უფლებადამცველს, რომელზეც მათ ხელი მიუწვდებოდათ. უკან დაბრუნდა 81 შევსებული ანკეტა. მართალია, ქართული უფლებადამცველების ზუსტი საერთო რაოდენობა უცნობია და შეუძლებელია იმის თქმა, წარმოადგენს თუ არა 81 რესპონდენტი გენერალური ერთობლიობის რეპრეზენტაციულ ნაწილს და შესაბამისად, კვლევის შედეგად მიღებული შედეგები, შესაძლოა, სრულად არ გამოხატავს ქართველი ადამიანის უფლებადამცველების წინაშე მდგომ საჭიროებებს, თუმცა 81 რესპონდენტი საშუალებას იძლევა, კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების თეორიული განზოგადება მაინც მოხდეს, რაც, სავარაუდოდ, ის საჭიროებები და პრობლემებია, რომლის წინაშეც უფლებადამცველთა უმრავლესობა დგას საქართველოში.

[11] იხ. დანართი №2 – რაოდენობრივი ანკეტა;

[12] ცდის პირების ისეთი შერჩევა, რომელიც მკვლევარისათვის უფრო ხელმისაწვდომია ან ხელსაყრელია. ამ მეთოდის არსი ისაა, რომ შეირჩევა გენერალური ერთობლიობის (პოპულაციის) ნებისმიერი წარმომადგენელი. ასეთი შერჩევა არ არის რეპრეზენტაციული (წარმომადგენლობითი), მაგრამ მოითხოვს მინიმალურ დანახარჯებს. ცალკეულ შემთხვევებში, როცა პოპულაცია გამოირჩევა მაღალი ერთგვაროვნებით, როგორიცაა მაგალითად, ადამიანების გარკვეული მარგინალური ჯგუფები ან ადამიანთა ცხოვრების ინტიმურ მხარეთა შესწავლისას, ხელმისაწვდომი შერჩევის გამოყენება შეიძლება, მისაღები აღმოჩნდეს – წყარო: http://dictionary.css.ge/content/convenience–sampling;

შეგროვებული თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

ქვემოთ მოცემულია რაოდენობრივი და თვისებრივი მონაცემების ანალიზი, კვლევის ამოცანების შესაბამისად. თავდაპირველად, აღნიშნულია დემოგრაფიული მონაცემები. გამოკითხული 81 რესპონდენტიდან 50 რესპონდენტი (62%) თავს მდედრობითი სქესის, 28 (35%) – მამრობითი სექსის, ხოლო მხოლოდ 3 (3%) რესპონდენტი თავს არაბინარული სქესის მქონე ადამიანთა რიცხვს აკუთვნებს.



ფოკუს-ჯგუფებს დაესწრო 6 მამრობითი და 12 მდედრობითი სქესის მქონე უფლებადამცველი.

ასაკის მიხედვით, ისინი შემდეგნაირად გადანაწილდნენ. შესაძლოა, საქართველოში ყველაზე მეტი უფლებადამცველი 18 წლიდან 40 წლამდე ასაკის ადამიანია.

ასაკობრივი ჯგუფი



გამოკითხულთა 70% ცხოვრობს თბილისში, 24% – საქართველოს სხვა ქალაქში, ხოლო 6% – სოფელში. მათი უმეტესობა (75%) დასაქმებულია არასამთავრობო ორგანიზაციებში, 11% – კერძო სექტორში, 4% – სამთავრობო სექტორში და 10% ამბობს, რომ საერთოდ არ არის დასაქმებული.

რესპონდენტები პირველადი საქმიანობის სფეროს მიხედვით შემდეგნაირად გადანაწილდნენ:

ბავშვთა და ახალგაზრდების უფლებების დაცვა;	6% – 5 რესპონდენტი
ქალთა უფლებების დაცვა;	22% – 18
ლგბტქ უფლებების დაცვა;	15% – 12
შშმ პირების უფლებების დაცვა;	6% – 5
ეთნიკური და რელიგიური უმცირესობების უფლებების დაცვა;	6% – 5
ეკოლოგია, გარემოს დაცვა, მათ შორის, ცხოველთა უფლებების დაცვა;	7% – 6
დემოკრატიზაციის, მართლმსაჯულების სფეროებში, ასევე, კორუფციის წინააღმდეგ სფეროში მუშაობა;	6% – 5
სოციალური უფლებების დაცვა (ჯანდაცვა, საცხოვრისი, მიწა და სხვ.);	1% – 1
ეკონომიკური უფლებების დაცვა, მათ შორის, შრომის უფლებების დაცვა;	2% – 2
ზოგადად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების დაცვა;	15% – 12

გარდა ზემოთხსენებული სფეროებისა, 10-მა რესპონდენტმა დააფიქსირა, რომ ის ზოგადად ადამიანის უფლებადამცველია.

გამოკითხული რესპონდენტების მხოლოდ 29% ამბობს, რომ მისი უფლებადაცვითი საქმიანობა ანაზღაურებადია, ან ანაზღაურებადი საქმიანობის ნაწილია. 41% თვლის, რომ მისი საქმიანობა ნაწილობრივ ანაზღაურებადია, ხოლო, 30% ამბობს, რომ მისი საქმიანობა არ ანაზღაურდება და სრულიად მოხალისეობრივია.

უფლებადაცვითი საქმიანობა ეკონომიკურად



28.7% ანაზღაურდება, ანაზღაურებადი საქმიანობის შემადგენელი ნაწილია;

41.3% ნაწილობრივ ანაზღაურდება;

30% არ ანაზღაურდება, სრულად მოხალისეობრივია.

გამოკითხული რესპონდენტების 80% ამბობს, რომ უფლებადაცვით საქმიანობას ორგანიზაციასთან/ჯგუფთან ერთად ახორციელებს, ხოლო 13% აღნიშნავს, რომ დამოუკიდებელი უფლებადამცველია. დანარჩენი რესპონდენტები ამბობენ, რომ ორივე ტიპის გამოცდილება აქვთ.

უსაფრთხოების მართვის კულტურა

რაოდენობრივი გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი ინფორმაციას ქართულ ორგანიზაციებსა და ქართველ უფლებადამცველებში ე. წ. „უსაფრთხოების კულტურის“ შესახებ აგროვებდა. რაოდენობრივი გამოკითხვის რესპონდენტთა 65% ამბობს, რომ მათ ორგანიზაციას/ჯგუფს „უსაფრთხოების სტრატეგია“ (წინასწარ გაწერილი დოკუმენტი, სადაც გათვალისწინებულია ის აქტივობები, რომელიც უზრუნველყოფს უფლებადამცველის უსაფრთხოებას) არ აქვს. დანარჩენი – 35% ამბობს, რომ მსგავსი დოკუმენტი მათ ორგანიზაციას აქვს. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტებიც თანხმდებიან და მათ ნარატივში იკვეთება თხრობის საერთო ხაზი, რომ შესაძლოა, ქართულ ორგანიზაციებს/ჯგუფებს, წინასწარ გაწერილი ე. წ. უსაფთხოების სტრატეგია“ არ აქვთ. ფოკუს-ჯგუფის რესპონდენტები თანხმდებიან, რომ უსაფრთხოების სტრატეგიის შესახებ აქამდე ჯერ არაფერი სმენიათ. ერთ-ერთი რესპონდენტი თვლის, რომ სტრატეგიის არქონა გამოწვეულია განსხვავებული საფრთხეების არსებობით, განსხვავებულ პერიოდებში.

> „ესეთი კონკრეტული არ არის, იმიტომ რომ რეალურად სხვადასხვა დროს სხვადასხვა საფრთხეები არის ხოლმე და მაგალითად, სააკაშვილის დროს სხვა ტიპის საფრთხეები იყო, ახლა – სხვა, მაგრამ არა, ამ ეტაპზე არ მახსენდება, რომ უსაფრთხოების სტრატეგია ჰქონდეთ ორგანიზაციებს“.

იგივე რესპონდენტი თვლის, რომ თუ იარსებებს მსგავსი სტრატეგიები, აუცილებლად უნდა იყოს განახლებადი და მოკლევადიანი. მისი თქმით, შეიძლება, ადამიანის უფლებათა სახლის საქმიანობის ფარგლებში მომზადდეს ერთი დოკუმენტი, რომელსაც შემდეგ გაიზიარებენ სხვა ორგანიზაციებიც. უსაფრთხოების სტრატეგიასთან დაკავშირებით, რაოდენობრივი მონაცემები და თვისებრივი მონაცემები ერთმანეთს იმეორებს.

თუმცა, ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ადამიანის უფლებათა სახლის თანამშრომლებისთვის ციფრული უსაფრთხოების წესები და სტრატეგია არსებობს, რომელიც არის ერთგვარი გაიდლაინი და შესაძლოა, ეს ჩაითვალოს უსაფრთხოების სტრატეგიად. თუმცა, ის თვლის, რომ გამაერთიანებელი უსაფრთხოების სტრატეგია არ არსებობს და ყველა უფლებადამცველს ინდივიდუალური ხერხები და გზები აქვს საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად.

> „შეიძლება, არსებობდეს უსაფრთხოების ზოგადი სტანდარტები, რასაც შეიძლება, ზოგადი სახე ჰქონდეს და ერქვას უსაფრთხოების სტრატეგია და ყველამ გამოიყენოს და გაითვალისწინოს“.

რაოდენობრივი გამოკითხვის რესპონდენტების 95% აღნიშნავს, რომ საქართველოში „უსაფრთხოების მართვის“ (უფლებადამცველების უსაფრთხოების სტრატეგიების შეფასება, განახლება, ცვლილება) კულტურა არ არსებობს, რასაც ფოკუს-ჯგუფის მონაწილეებიც ადასტურებენ. თუმცა, ფოკუს-ჯგუფზე საინტერესო რამ გამოვლინდა: ერთ-ერთი მონაწილე ამბობს, რომ ადამიანის უფლებათა სახლი უკვე აპირებს, ერთ-ერთი დონორის დახმარებით, მსოფლიოში არსებული უსაფრთხოების სტრატეგიებისა და სახელმძღვანელოების ქართულ ენაზე შექმნას, რომელიც მორგებული იქნება ქართულ კონტექსტს. რესპონდენტი ამბობს:

> „უნდა მოვამზადოთ ე. წ. მენუალი უფლებადამცველებისთვის, სადაც რეალურად ახალ პროდუქტს არ შევიმუშავებთ, „პროთექშნლ ინტერნეიშენალს“ აქვს რამდენიმე მენუალი ამ საკითხზე მომზადებული, ჩვენს მიზანს წარმოადგენს ამ მენუალების ადაპტაცია იმ საჭიროებების კვალობაზე, რაც რეალურად საქართველოში უფლ. დამცველებთან არსებობს, მოვარგოთ რისკები და საფრთხეები ქართულ რეალობას.“

ონლაინ გამოკითხვამ და ფოკუს-ჯგუფის ნარატივმა გამოამჟღავნა, რომ ორგანიზაციებისგან განსხვავებით, შესაძლოა, ქართველ უფლებადამცველებს ინდივიდუალურ დონეზე აქვთ რაიმე ტიპის უსაფრთხოების სტრატეგიები. გამოკითხულთა 67% ამბობს, რომ მათ ინდივიდუალური უსაფრთხოების სტრატეგია აქვთ. 33% თვლის, რომ ინდივიდუალურადაც არ აქვს მსგავსი სტრატეგია. ფოკუს-ჯგუფზე რესპონდენტები ამბობენ, რომ საქართველოში არსებობს კონკრეტული უფლებადამცველის უსაფრთხოებისთვის ზრუნვის პრეცენდენტები. მაგალითად, ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით, ქალთა მოძრაობას ხშირად შეუქმნია ინდივიდუალური უსაფრთხოების გეგმა ამა თუ იმ ქალი უფლებადამცველისთვის. თუმცა, როგორც იგივე რესპონდენტი ამბობს, ეს ცალკეული შემთხვევებია და სისტემურ ხასიათს არ ატარებს:

> „უფლებადამცველის უსაფრთხოების სტრატეგიის დასახვა ცალკეული შემთხვევების სახით უფრო ხდება და ამ მოვლენას არ აქვს სისტემური ხასიათი. კარგი იქნებოდა თუ ამ მიმართულებით გაუმჯობესდებოდა მდგომარეობა“.

სამუშაო გარემო

კვლევის მომდევნო ამოცანა, რომლის შესახებ ინფორმაციას ონლაინ გამოკითხვა და ფოკუს-ჯგუფი აგროვებდა, არის ქართველი უფლებადამცველების სამუშაო გარემო. გამოკითხულთა 57% თვლის, რომ ქართველი უფლებადამცველებისთვის გარემო საფრთხის შემცველია, ხოლო, 42%-ის აზრით, საშუალოდ საფრთხის შემცველია. გამოკითხულთაგან მხოლოდ ორი ადამიანი თვლის, რომ უფლებადამცველების სამუშაო გარემო საქართველოში უსაფრთხოა.

	მტრული	ნეიტრალური	მეგობრული
სახელმწიფო ინსტიტუტები	39 (48%)	37 (46%)	3 (4%)
პოზიცია/მმართველი პარტია	57 (70%)	23 (28%)	1 (1%)
ოპოზიცია	11 (14%)	52 (64%)	16 (20%)
ბიზნესმენები	14 (17%)	62 (77%)	2 (2%)
რელიგიური ლიდერები	56 (69%)	21 (26%)	3 (4%)
ოჯახი და ნათესავები	10 (12%)	26 (32%)	44 (54%)
სამეზობლო	12 (15%)	46 (57%)	22 (27%)
უფლებადამცველები	5 (6%)	12 (15%)	62 (77%)
საერთაშორისო ორგანიზაციები	1 (1%)	10 (12%)	68 (84%)
უცხო ქვეყნის საელჩოები	1 (1%)	24 (30%)	52 (64%)
დონორი ორგანიზაციები	2 (2%)	10 (12%)	66 (81%)
თანამშრომლები და ორგანიზაცია, სადაც მუშაობ (სამსახური)	2 (2%)	6 (7%)	70 (86%)

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველი უფლებადამცველების აზრით, მათ მიმართ ყველაზე მტრულად განწყობილები – პოზიცია/მმართველი პარტია, რელიგიური ლიდერები და სახელმწიფო ინსტიტუტები არიან.

გამოკითხულთა 82% თვლის, რომ ქართველ უფლებადამცველს ემუქრება საზოგადოებისგან ნეგატიური დამოკიდებულება. 78% თვლის, რომ ემუქრება ფიზიკური საფრთხე. 72%-ის აზრით, სახელმწიფოსგან უგულებელყოფილია, 69%-ს ფინანსური გაჭირვება აწუხებს, ხოლო 67% თვლის, რომ ემუქრება ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე. ეს ის ნეგატიური მოვლენებია, რომელიც რაოდენობრივი გამოკითხვის რესპონდენტების აზრით, ქართველ უფლებადამცველებს აწუხებთ. მონაცემები მყარდება ფოკუს-ჯგუფზე გაჟღერებული თხრობის საერთო ნაკადებით. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ ზოგიერთ ორგანიზაციას არ აქვს ფინანსური სახსრები, მოუაროს და იზრუნოს საკუთარ უფლებადამცველ თანამშრომელზე, რომელსაც შესაძლოა, აწუხებს ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესების საფრთხე და პრობლემები, ეს კი, შესაძლოა, ნეგატიურად აისახება ამ უკანასკნელის საქმიანობასა და ცხოვრების ხარისხზე.

საფრთხეები და რისკები

კვლევის მომდევნო ამოცანა იყო იმ საფრთხეებისა და რისკების შესწავლა, რომლის წინაშეც ქართველი უფლებადამცველები აღმოჩნდნენ კოვიდ 19-ის პერიოდში. თავდაპირველად, ფოკუს-ჯგუფებზე მონაწილეებმა დაასახელეს სამ-სამი საფრთხე და რისკი, რომლის წინაშეც დგანან ქართველი უფლებადამცველები. შემდეგ ერთმანეთის მსგავსი რისკები გაიცხრილა და რისკების ქართულ რეალობაზე მორგებული ვერსიები შეიქმნა, რომლებიც შეტანილია რაოდენობრივ კითხვარში. შემდეგ, რაოდენობრივი ანკეტირებისას, რესპონდენტებმა შეკითხვას: „თქვენთვის, როგორც ადამიანის უფლებადამცველისთვის, რამდენად მოსალოდნელია ქვემოთ ჩამოთვლილი საფრთხეები?“, გასცეს პასუხი. მონაცემები შემდეგნაირად გადანაწილდა:

	მოულოდნელია	არც მოულოდნელია და არც - მოსალოდნელი	მოსალოდნელია
ფიზიკური თავმდასხმა ქუჩაში (ცემა, შეურაცხყოფა)	14 (17%)	32 (40%)	35 (43%)
ოჯახში შევარდნა და ფიზიკური ანგარიშსწორება	37 (46%)	28 (35%)	13 (16%)
ოფისის დაზიანება	19 (23%)	28 (35%)	32 (40%)
მკვლელობის მცდელობა	39 (48%)	30 (37%)	9 (11%)
პოლიციის გულგრილობა უფლებადამცველის მიმართ განხორციელებული კრიმინალური ქცევის დროს	8 (10%)	18 (22%)	54 (67%)
ონლაინ ჩაგვრა/ბულინგი	7 (9%)	8 (10%)	67 (81%)

	მოულოდნელია	არც მოულოდნელია და არც - მოსალოდნელი	მოსალოდნელია
მტრულად განწყობილი მეზობლები და საცხოვრებელი გარემო	14 (17%)	38 (47%)	27 (33%)
მადისკრედიტირებელი კამპანიები	8 (9%)	12 (15%)	58 (71%)
პირადი ცხოვრების გასაჯაროება	11(14%)	23 (28%)	47 (58%)
ოჯახის წევრებზე ზეწოლა	14 (17%)	29 (36%)	37 (45%)
პოლიციის მხრიდან ფიზიკური ძალადობა	13 (16%)	38 (47%)	26 (32%)
გადაადგილების შეზღუდვა	15 (18%)	35 (43%)	28 (35%)
შშმ პირებისთვის სერვისების შეწყვეტა	20 (25%)	32 (40%)	19 (23%)
გატაცება	46 (57%)	23 (28%)	8 (9%)

მონაცემები აჩვენებს, რომ ყველაზე ხშირად უფლებადამცველები ასახელებენ: ონლაინ ჩაგვრა/ბულინგს (67); მადისკრედიტირებელ კამპანიებს (58); პოლიციის გულგრილობას უფლებადამცველის მიმართ განხორციელებული კრიმინალური ქცევის დროს (54), ოჯახის წევრებზე ზეწოლას (37) და ფიზიკურ თავდასხმას ქუჩაში (ცემა, შეურაცხყოფა) (35).

საინტერესო მონაცემები გამომჟღავნდა იმ რისკებთან დაკავშირებით, რომლის მიმართაც კოვიდ პანდემიის პერიოდში დგანან ქართველი უფლებადამცველები. რისკების ჩამონათვალიც ფოკუს-ჯგუფებზე შეიქმნა, რომელიც ონლაინ ანკეტის შეკითხვად გარდაიქმნა, თუ რომელი რისკის წინაშე დგანან ქართველი უფლებადამცველები, რომელზეც შემდეგი პასუხები იქნა მიღებული. გამოკითხული რესპონდენტების 84% თვლის, რომ პანდემიის დროს ისინი პროფესიული გადაწვის რისკის წინაშე იმყოფებიან. შემდეგ მოდის ფსიქიკური ჯანმრთელობის გაუარესებასთან დაკავშირებული რისკი, რომელსაც რისკად გამოკითხულთა 72% მიიჩნევს. გამოკითხულთა 64%-ის აზრით, უფლებადამცველები, შესაძლოა, დგანან იმედგაცრუების წინაშე, რის გამოც მათ შეიძლება ხელი ჩაიქნიონ საკუთარ საქმიანობაზე. გამოკითხულთა 52% თვლის, რომ უფლებადამცველები გარშემომყოფებს შეიძლება აღარ ენდონ და ამასთანავე, შეიძლება, საზოგადოებამ ისინი გარიყოს და მოხდეს მათი მარგინალიზაცია. და ბოლოს, გამოკითხულთა 24% ფიქრობს, რომ შეიძლება, უფლებადამცველები რადიკალიზებისა და პირველადი მიზნიდან გადახვევის რისკის წინაშე იდგნენ.

ფოკუს-ჯგუფის ერთ-ერთმა მონაწილემ თქვა, რომ ქართველი უფლებადამცველები დგანან ქუჩაში ფიზიკური თავდასხმის (ცემა, შეურაცხყოფა) და ფიზიკური ლიკვიდაციის წინაშე. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ საქართველოში უფლებადამცველებს უსაფრთხოების განცდა არ აქვთ. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> „უსაფრთხოების გარანტია და განცდა არავის აქვს, ვერავინ გრძნობს თავს უსაფრთხოდ. მოსალოდნელია, რომ ყველას და ყოველთვის ისე შეუვარდნენ სახლში, როგორც გუშინ თუ გუშინწინ შეუვარდა ვიღაც მეზობელი ლესბოსურ წყვილს თბილისში“.

ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების გამოვლენა

მომდევნო ამოცანას წარმოადგენდა ფსიქიკური ჯანმრთელობის იმ პრობლემების გამომჟღავნება, რომლის წინაშეც, შესაძლოა, ქართველი უფლებადამცველები დგანან; შეკითხვაზე, ფსიქიკური ჯანმრთელობის რომელი პრობლემის წინაშე შეიძლება დადგნენ ქართველი უფლებადამცველები, შემდეგი პასუხები დაფიქსირდა (შესაძლებელი იყო რამდენიმე პასუხის ამორჩევა): 91% თვლის, რომ მას ემუქრება პროფესიული გადაწვა, 82% – შფოთვა, 78% – სტრესი მუქარის გამო, 77% – ძილთან დაკავშირებული სირთულეები, 69% – დეპრესია, 41% – პოსტ-ტრავმული სტრესული აშლილობა და ბოლოს 33% – ალკოჰოლისა და სხვა ფსიქოაქტიური ნივთიერებების ავად მოხმარება.

შეკითხვაზე, რა ხდის ქართველ უფლებადამცველს მოწყვლადს ზემოთ ჩამოთვლილი რისკების, საფრთხეებისა და ფსიქიკური ჯანმრთელობის მიმართ, შემდეგი პასუხები დაფიქსირდა:

არ არსებობს უსაფრთხოების მართვის კულტურა;	70%
უფლებადამცველებს არ აქვთ ინფორმაცია კანონების შესახებ;	4%
სასამართლო არ არის დამოუკიდებელი (პოლიტიზებულია);	65%
საზოგადოებრივი აზრი ხშირად უფლებადამცველის წინააღმდეგ არის მიმართული;	78%
სახელმწიფო მზარდად ავტორიტეტულია;	72%
არ არსებობს უფლებადამცველების მხარდამჭერი ქსელი;	65%
ფიზიკური თავდასხმა ჯგუფურად ხდება და თავმდამსხმელების მოგერიება უჭირთ;	19%
უფლებადამცველების რეპუტაცია ნეგატიურია საზოგადოებაში;	49%
უფლებადამცველებს ფსიქოლოგიური დაავადებების შესახებ ცოდნა/ინფორმაცია არ აქვთ.	21%

მონაცემები ცხადყოფს, რომ ქართველ უფლებადამცველს ყველაზე მოწყვლადს რისკებისა და საფრთხეების წინაშე მათ წინააღმდეგ არსებული საზოგადოებრივი აზრი (78%), სახელმწიფოს მზარდი ავტორიტარულობა (72%), უსაფრთხოების მართვის კულტურის არარსებობა (70%) და პოლიტიზებული სასამართლო ხდის (65%).

კვლევა ცდილობდა, გამოემჟღავნებინა, რომელი ტიპის უფლებადამცველები არიან ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე საქართველოში. გამოკითხულთა 100% თვლის, რომ ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე ლგბტქ+ ადამიანების უფლებადამცველები დგანან. შემდეგ მოდიან ქალთა უფლებების დამცველები (61%); 50% – რელიგიური უმცირესობების უფლებდამცველები, 28% – ეთნიკური უმცირესობები და 24% – ნარკოდამოკიდებული ადამიანების უფლებადამცველები. ასევე, რესპონდენტების (16%) თქმით, საფრთხის წინაშე დგანან ზოგადად სამოქალაქო უფლებების დამცველი ადამიანები.



უფლებადამცველების საჭიროებების დადგენა

კვლევის ბოლო ამოცანას წარმოადგენდა ქართველი უფლებადამცველების საჭიროებებისა და პრობლემების დადგენა. საჭიროებების ჩამონათვალიც ფოკუს-ჯგუფების დროს შეიქმნა და დაეფუძნა მონაწილეთა მიერ შემოთავაზებულ სავარაუდო საჭიროებებს, რომელიც შემდეგ რაოდენობრივი გამოკითხვისას რესპონდენტებს მიეწოდათ და მათ თითოეულზე დააფიქსირეს პასუხები: „საჭიროა“, „არც საჭიროა და არც არ არის საჭირო“, „არ არის საჭირო“. ქვემოთ მოცემულია რესპონდენტთა პასუხები თითოეულ საჭიროებაზე:

	საჭიროა	არც საჭიროა და არც არ არის საჭირო	არ არის საჭირო
უფლებადამცველების ცნობიერების დონე უნდა ამაღლდეს უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებით	73 (90%)	5 (6%)	
უფლებადამცველთა დამსაქმებელმა ორგანიზაციებმა უნდა დაიწყონ მდგრადი ბიუჯეტირება (საპენსიო გადასახადის გათვალისწინება, გრანტისა და პროექტის დასრულების მიუხედავად უფლებადამცველისთვის ანაზღაურების შენარჩუნება, დაგდვევა;) უფლებადამცველების ფინანსური უზრუნველყოფისათვის	61 (75%)	15 (18%)	1 (1%)
საჭიროა შეიქმნას უფლებადამცველების ურთიერთდახმარების ქსელი	67 (82%)	9 (11%)	2 (2%)
პერიოდულად საჭიროა უფლებადამცველის სხვა საცხოვრებელ გარემოში, ან სხვა ქვეყანაში გარიდება	30 (37%)	30 (37%)	11 (14%)
საჭიროა უფლებადაცვითი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მიღება	47 (58%)	19 (23%)	9 (11%)

	საჭიროა	არც საჭიროა და არც არ არის საჭირო	არ არის საჭირო
საჭიროა საცხოვრებლის დაცვის სისტემების (კამერა, სიგნალიზაცია) დაყენება	35 (43%)	33 (40%)	8 (10%)
საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებთან (მაგალითად პოლიციასთან) უფლებადამცველების დაცვის საკითხების ადვოკატირება	63 (78%)	11 (14%)	2 (2%)
საჭიროა უფლებადამცველის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულის განსაზღვრება კანონში	49 (60%)	23 (28%)	5 (6%)
საჭიროა უფლებადამცველთა პროფესიული განვითარების ტრეინინგები	63 (78%)	9 (11%)	4 (4%)
საჭიროა უფლებადამცველების თავდაცვის უნარების დახვეწა (საბრძოლო ხელოვნება, თავდაცვის სხვა საშუალებებით მომარაგება)	45 (55%)	25 (31%)	7 (8%)
საჭიროა ოფისის დაცულობის გაიდლაინების შექმნა	65 (80%)	10 (12%)	2 (2%)
საჭიროა პროფესიული გადაწვის საწინააღმდეგო პროგრამები უფლებადამცველებისთვის	72 (89%)	2 (2%)	2 (2%)
საჭიროა პროფესიულ გადაწვასთან დაკავშირებული დისკუსიები/გაზიარება	66 (81%)	6 (7%)	1 (1%)
საჭიროა პროფესიული გადაწვის დასადგენი კითხვარის შექმნა/ადაპტირება და დანერგვა	57 (70%)	13 (16%)	1 (1%)

	საჭიროა	არც საჭიროა და არც არ არის საჭირო	არ არის საჭირო
საჭიროა უფლებადამცველის ოჯახის წევრების მენტალური მდგომარეობის გაზომვა	21 (26%)	38 (47%)	12 (14%)
საჭიროა უფლებადამცველის ოჯახის წევრების დახმარების პროგრამა	29 (35%)	32 (40%)	10 (12%)
საჭიროა უფლებადამცველების მიმართ საფრთხისშემცველი შემთხვევების გასაჯაროება	59 (73%)	14 (17%)	4 (4%)
საჭიროა მედიის მომზადება/სენსიტიზაცია უფლებადაცვითი საქმიანობების გაშუქებასთან დაკავშირებით	72 (88%)	3 (3%)	1 (1%)
საჭიროა ფეისბუქის გვერდის/უფლებადამცველების მხარდამჭერი პლატფორმის სწრაფი მობილიზების სერვისის/სივრცის შექმნა	56 (69%)	15 (18%)	2 (2%)
საჭიროა საჯარო მოხელეების გადამზადება/სენსიტიზაცია	60 (74%)	14 (17%)	3 (3%)
საჭიროა საზოგადოების ინფორმირება, პოზიტიური კამპანიები უფლებადამცველებზე. უფლებადამცველების პოზიტიური საქმიანობების გაშუქება/დაფინანსება	67 (83%)	9 (9%)	1 (1%)
საჭიროა, შეიქმნას უფლებადამცველების ეთიკის კოდექსი	47 (58%)	19 (23%)	8 (9%)

	საჭიროა	არც საჭიროა და არც არ არის საჭირო	არ არის საჭირო
საჭიროა ფსიქიკური ჯანმრთელობის აღიარებისა და მიღების შესახებ პოზიტიური კამპანია, რეკლამა	51 (63%)	15 (18%)	2 (2%)
მენტალური პრობლემების სტიგმატიზაციის საწინააღმდეგო კამპანია	51 (63%)	15 (18%)	2 (2%)

მონაცემებმა გამოამჟღავნა, რომ ყველა ჩამოთვლილი საჭიროება დღის წესრიგში დგას ქართველი უფლებადამცველებისათვის, თუმცა სხვებთან შედარებით, მეტი პროცენტული მაჩვენებელი შემდეგმა საჭიროებებმა მოაგროვა:

90 % უფლებადამცველების ცნობიერების დონე უნდა ამაღლდეს უსაფრთხოების მართვასთან დაკავშირებით;

88 % საჭიროა პროფესიული გადაწვის საწინააღმდეგო პროგრამები უფლებადამცველებისთვის;

83 % საჭიროა საზოგადოების ინფორმირება, პოზიტიური კამპანიები უფლებადამცველებზე. უფლებადამცველების პოზიტიური საქმიანობების გაშუქება/დაფინანსება;

82 % საჭიროა, შეიქმნას უფლებადამცველების ურთიერთდახმარების ქსელი;

81 % საჭიროა პროფესიულ გადაწვასთან დაკავშირებული დისკუსიები/გაზიარება;

80 % საჭიროა ოფისის დაცულობის გაიდლაინების შექმნა;

78 % საჭიროა სახელმწიფო სტრუქტურებთან (მაგალითად პოლიციასთან) უფლებადამცველების დაცვის საკითხების ადვოკატირება;

78 % საჭიროა უფლებადამცველთა პროფესიული განვითარების ტრეინინგები;

73 % საჭიროა მედიის მომზადება/სენსიტიზაცია უფლებადაცვითი საქმიანობების გაშუქებასთან დაკავშირებით.

ფოკუს-ჯგუფებზე მონაწილეებმა ხაზი გაუსვეს საპენსიო და ზოგადად სახელფასო პრობლემებს, რომელიც, შესაძლოა, უარყოფითად აისახება ადამიანის უფლებადამცველების საქმიანობაზე. რესპონდენტების თხრობაში გამოიკვეთა, რომ საჭიროა ან საპენსიო დანაზოგის დაფინანსება, ან ხელფასის ზრდა, ან მდგრადობის უზრუნველყოფა, რომ უფლებადამცველს ფინანსური პრობლემები მაინც ჰქონდეს მოგვარებული. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> „მთავარია მდგრადობა. პროექტზე როდესაც არის ადამიანი დამოკიდებული, ექვსი თვის მერე ბრახ და... პროექტი აღარა აქვს, ფულს კარგავს... ეს ერთ-ერთი დიდი ის არის, კომპონენტი, იმიტომ რომ ვიცით, რომ ფსიქიკურ ჯანმრთელობაში ძაან დიდი გავლენა აქვს სტაბილურ შემოსავალს, ამ სექტორს ზოგადად ასეთი რამ ახასიათებს, რისთვისაც საჭირო არის ორგანიზაციებმა დაიწყონ მდგრადი ბიუჯეტირება.“

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ამ მიმართულებით საჭიროა დონორებთან მუშაობაც. ფოკუს-ჯგუფებზე ასევე ისაუბრეს უფლებადამცველების ჯანდაცვის დაზღვევის უზრუნველყოფის აუცილებლობაზე.

გამოკითხვისას გამოვლინდა, რომ ზოგჯერ საჭიროა უფლებადამცველის სხვა საცხოვრებელ გარემოში, ან სხვა ქვეყანაში გარიდება. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> „დიდი პრობლემა არის ლგბტქ და ქალთა უფლებადამცველების პრობლემები. საფრთხიდან გამომდინარე, ერთი, რაც შეიძლება ვიფიქროთ ამ საკითხზე, ადრე იყო იგივე, სააკაშვილის დროსაც და შემდგომშიც, როდესაც უფლებადამცველების მიმართ იყო მაღალი რისკები, ერთგვარი გარიდება, ქვეყნიდან გაყვანა. ევროპის, ან ბალტიისპირეთის ქვეყნებში მიდიოდა უფლებადამცველი 6 თვით ან 1 წლით საცხოვრებლად. ეს შეიძლება იყოს მის განვითარებაზე მორგებული, განათლებაზე, გამოცდილების გაზიარებაზე და ა. შ.“.

ფოკუს-ჯგუფზე ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ საჭიროა უფლებადაცვითი საქმიანობის შესახებ კანონმდებლობის მიღება, ნორმატიული ბაზის შექმნა უფლებადამცველების დაცვასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ რამდენ უფლებადამცველსაც შეხვდა ის ბოლო წლების განმავლობაში, ყველა წუხს, რომ არ არსებობს უფლებადამცველის სამართლებრივი დეფინიცია და ბუნდოვანია ზოგადად ამ ცნების განმარტება.

„უფლებადამცველებს შეეხვდი, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დიდ უმრავლესობას ეს პრობლემად მიაჩნია, რომ საკანონმდებლო დონეზე არ არსებობს დეფინიცია. ბევრს სურს, რომ ეს პრობლემა გადაიჭრას. გარდა ამისა, ჟურნალისტებს, თუნდაც გამოძიებისას, არ აქვთ ვალდებულება, გათქვან წყაროები, მიღებული ინფო საიდან აქვთ, რომ არ თქვან, ამ ტიპის დაცვა სჭირდებათ უფლებადამცველებს, რომ საკუთარ ბენეფიციარებზე არ გაათქმევინონ ინფორმაცია გამოძიების პროცესში თუნდაც“.

კვლევა ცდილობდა, გამოევლინა, თუ კონკრეტულად რა პრობლემების წინაშე იდგნენ რესპონდენტები, როგორც ადამიანის უფლებადამცველები. გამოკითხულთა 64% თვლის, რომ მენტალური პრობლემის, 58% – სახელმწიფოს მხრიდან უგულებელყოფის, 51% – საზოგადოების მხრიდან ნეგატიური დამოკიდებულების, 41% – ფინანსური გაჭირვების და 28% – ფიზიკური საფრთხის წინაშე დგას.

და ბოლოს, კვლევის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას წარმოადგენდა კვლევაში მონაწილე უფლებადამცველების პროფესიული ცხოვრების ხარისხის შესწავლა და შეფასება, რისთვისაც მკვლევართა ჯგუფმა გამოიყენა ქართულ ენაზე ადაპტირებული ინსტრუმენტი – ProQOL – პროფესიული ცხოვრების ხარისხის შეფასების სკალა.

ProQOL 30 კითხვიანი თვით-ადმინისტრირებადი კითხვარია, რომელიც ზომავს თანაგრძნობის დაღლილობის, სამუშაოთი კმაყოფილებისა და პროფესიული გადაწვის ინდექსს იმ პროფესიონალებთან, რომლებიც ძირითადად დახმარებას უწევენ სხვა ადამიანებს. მათ შორის არიან: ჯანდაცვის მუშაკები, ფსიქოლოგები, ექთნები, ექიმები, სოციალური სერვისის მუშაკები, უფლებადამცველები.

პროფესიული ცხოვრების ხარისხი აფასებს დამხმარე პროფესიონალის დამოკიდებულებას საკუთარი საქმიანობისადმი, რომელზეც როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური ფაქტორები ახდენს გავლენას. ProQOL ზომავს პროფესიული ცხოვრების შემდეგ სამ ასპექტს:

- თანაგრძნობის კმაყოფილება (სიამოვნება, რომელსაც კარგად შესრულებული სამუშაოსგან იღებ);
- პროფესიული გადაწვა (მუდმივი დაღლილობის განცდა, ფრუსტრაცია, ბრაზი და დეპრესიული გუნება-განწყობილება, რომელიც პროფესიულ საქმიანობასთან არის დაკავშირებული);

- მეორადი ტრავმული სტრესი (ტრავმული სტრესის სიმპტომები, რომელიც ჩნდება სამსახურეობრივი საქმიანობის გამო, ტრავმულ გამოცდილებას ზოგჯერ უშულოდ იღებს მუშაკი, მაგალითად თავდასხმა/დევნა უფლებადამცველზე, ან ისმინა/ჩართულია ბენეფიციარის ტრავმულ გამოცდილებაში – მაგალითად, ბენეფიციარის მიერ მოყოლილი სექსუალური ძალადობის გამოცდილება.)

კვლევაში მონაწილე 81 რესპონდენტიდან, რომელმაც შეავსო ProQOL-ის ინსტრუმენტი, მათი შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა სამ განზომილებაზე:



35 % მონაწილეთა 35%-ის სიამოვნების მაჩვენებლი გაწეული საქმიანობის შედეგად მაღალია,

14 % 14% აღნიშნავს, რომ საშუალოდ არის კმაყოფილი,

51 % 51% კი არ არის კმაყოფილი.

პროფესიული გადაწვის სკალა



პროფესიული გადაწვის სკალაზე, 81 რესპონდეტიდან 55% აღნიშნავს, რომ აღენიშნება პროფესიული გადაწვისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, როგორიცაა მუდმივი დაღლილობის, უსუსურობის, უმწეობისა და უიმედობის განცდა, რომელიც ხელს უშლის სამუშაოს ეფექტურად შესრულებაში.

მეორადი ტრავმის სკალა

მეორადი ტრავმის სკალაზე კი, კვლევაში ჩართული რესპონდენტებიდან 53% აღნიშნავს, რომ აქვს მეორადი ტრავმული სტრესისთვის დამახასიათებელი სიმპტომები, რომელიც ვლინდება საშუალო ინტენსიობით.



რეკომენდაციები

ქართველი უფლებადამცველების პროფესიული ცხოვრების ხარისხის გაზრდისთვის, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ შემდეგი რეკომენდაციები, რომელიც დიდწილად ეყრდნობა კვლევის მიერ გამოვლენილ საჭიროებებს სექტორების მიხედვით.

სახელმწიფო სექტორისთვის განკუთვნილი რეკომენდაციები:

- პარლამენტმა მიიღოს ადამიანის უფლებადამცველის დეფინიცია შესაბამისი საერთაშორისო ორგანიზაციების რეკომენდაციების თანახმად და უფლებადაცვით საქმიანობაში ხელის შეშლა აიკრძალოს კანონით;
- ადამიანის უფლებათა დაცვის სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმაში აისახოს ადამიანის უფლებადამცველების დაცვის და ხელშეწყობის ღონისძიებები;
- სახელმწიფოს წარმომადგენლებმა თავი შეიკავონ უფლებადამცველების მადისკრედიტირებელი განცხადებებისაგან და ხელი შეუწყონ უფლებადაცვით საქმიანობის პოპულარიზაციას;
- სახელმწიფო უწყებებმა ითანამშრომლონ სახალხო დამცველთან, სამოქალაქო სექტორთან და უფლებადამცველებთან, რათა უფლებადამცველების უფლებები იყოს გარანტირებული და დაცული;
- საგამოძიებო ორგანოებმა ეფექტიანად გამოიძიონ უფლებადამცველების წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაულები.

სამოქალაქო სექტორისთვის განკუთვნილი რეკომენდაციები:

- უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა შეიმუშაონ უსაფრთხოების სტრატეგიები და საკუთარი თანამშრომლებისთვის უზრუნველყონ ინტეგრირებული უსაფრთხოების ტრეინინგები;
- უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა აიღონ ვალდებულება უფლებადამცველებისთვის (მათ შორის საკუთარი თანამშრომლებისთვისაც), გადაწვის საწინააღმდეგო და თვით-ზრუნვის სტრატეგიების შექმნასა და გაუმჯობესებაზე;

- დონორმა, საერთაშორისო და ადგილობრივმა უფლებადაცვითმა ორგანიზაციებმა პროფესიულ გადაწვასთან დაკავშირებული აქტივობები შესთავაზონ უფლებადამცველებს, მათ შორის, რელოკაციის პროგრამები;

- სამოქალაქო სექტორმა და პროფესიულმა ორგანიზაციებმა უზრუნველყონ უფლებადამცველების ცნობიერების ამაღლება ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების შესახებ და შექმნან ინფორმაციული ბაზა ფსიქოგანათლებისა და თვითდახმარების ტექნიკებთან დაკავშირებით და უფლებადამცველებს შესთავაზონ შესაბამისი ტრეინინგები;

- სამოქალაქო სექტორმა შექმნას უფლებადამცველების მხარდამჭერი ქსელი და ურთიერთდახმარების სივრცე, სადაც დაინერგება და გაიცვლება ზრუნვის პრაქტიკები;

- სამოქალაქო სექტორმა იზრუნოს უფლებადამცველებს შორის ციფრული უსაფრთხოების შესახებ ცოდნის გავრცელებაზე;

მედიისთვის განკუთვნილი რეკომენდაციები:

- მედიასაშუალებები გადამზადდნენ და გააცნობიერონ თავიანთი როლი უფლებადაცვით საქმიანობაში, რათა უნებლიეთ ხელი არ შეუწყონ უფლებადამცველების ნეგატიურ ან მადისკრედიტირებელ წარმოჩენას;

- მედიასაშუალებებმა განახორციელონ პროექტები, რომლის მიზანია უფლებადამცველების პოზიტიური წარმოჩენა და იმ სტერეოტოპებთან და მითებთან ბრძოლა, რომელიც მიმართულია უფლებადამცველების წინააღმდეგ;

კერძო სექტორისთვის განკუთვნილი რეკომენდაციები:

- კერძო სექტორი აქტიურად ჩაერთოს უფლებადაცვითი საქმიანობის ხელშეწყობაში;

- კერძო სექტორმა ხელი შეუწყოს უფლებადაცვითი საქმიანობის პოპულარიზაციას და უფლებადამცველების პოზიტიურ წარმოჩენას.

ბიბლიოგრაფია

1. უფლებადამცველთა მდგომარეობა საქართველოში – დაბრკოლებები და გამოწვევები, თემატური ანგარიში, 2020;
2. უფლებადამცველების შესახებ გაერო-ს სპეციალური მომხსენებლის 2018 წლის ანგარიში: https://bit.ly/3pZzpEl;
3. R.A. Krueger; M.A. Casey, Focus Groups, A Practical Guide for Applied Research 5th Edition, Sage Publication, 2015;
4. B. Hudnall Stamm, 2009-2011. Professional Quality of Life: Compassion Satisfaction and Fatigue Version 5 (ProQOL). www.proqol.org. This test may be freely copied as long as (a) author is credited, (b) no changes are made, and (c) it is not sold. Those interested in using the test should visit www.proqol.org to verify that the copy they are using is the most current version of the test
5. COMPASSION FATIGUE AND BURNOUT IN NURSING, Enhancing Professional Quality of Life. Vidette Todaro-Franceschi, RN, PhD, FT p.197;
6. Protection Manual for Human Rights Defenders, Published by Front Line 2005, The International Foundation for the Protection of Human Rights Defenders 16 Idrone Lane, Off Bath Place, Blackrock, County Dublin, Ireland, p. 3.;



MOVING FORWARD TOGETHER

Laqzahn Safari

თბილისის ადამიანის უფლებათა სახლი